საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლენინური

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№127 (6353) 20 ოქტომბერი 1990 წელი შაბათი ფასი 3 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფასო ამომრჩევლებო!

22 ოქტომბერს, ორშაბათს, 15 საათზე ცაგერის სარაიონო კულტურის სახლში გაიმართება შეხვედრა საქართველოს უზენაესი საბჭოს ცაგერის №79 საარჩევნო ოლქის დეპუტატობის კანდიდატებთან.

ცაგერის №79 საოლქო საარჩევნო კომისია.

საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

ნაირა გერასიმეს ასული ცხვედიანი

საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი **ნაირა გერასიმეს ასული ცხვედიანი** რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცაგერის №79 საარჩევნო ოლქის საოლქო-საარჩევნო კომისიამ.

ნაირა გერასიმეს ასული ცხვედიანი დაიბადა 1958 წელს ცაგერის რაიონში. 1975 წელს ფრიადზე დაამთავრა ცაგერის საშუალო სკოლა. 1980 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

1980-1989 წლებში მუშაობდა ცაგერში. ჯერ სურათების გალერეის მეცნიერ-თანამშრომლად, შემდეგ—გამგედ; 1981 წლიდან ცაგერის რაიონული გაზეთის რედაქციაში კორესპონდენტად, პასუხისმგებელ მდივნად, პარალელურად მუშაობდა პედაგოგად.

1990 წლიდან არის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი, მუშაობს სადისერტაციო თემაზე. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

დეპუტატობის კანდიდატად დასახელა საარჩევნო ბლოკმა „თავისუფლებამ“.

თამაზ პიმენის ძე ყურაშვილი



საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი **თამაზ პიმენის ძე ყურაშვილი** რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცაგერის №79 საარჩევნო ოლქის საოლქო-საარჩევნო კომისიამ.

თამაზ პიმენის ძე ყურაშვილი დაიბადა 1937 წელს ქალაქ თბილისში. 1954 წელს დაამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1960 წელს. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ქალაქ ტყიბულში ჯერ მაღაროს სამედიცინო-სანიტარული ნაწილის ექიმად, ხოლო 1961 წლიდან რაისაავადმყოფოს ექიმ-ორდინატორად. 1961-62 წლებში მუშაობდა ქალაქ რუსთავის საავადმყოფოში.

1962 წელს კონკურსით ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის ბავშვთა დაავადებების კათედრის ასპირანტურაში, რომელიც დამთავრა 1965 წელს. იმავე წლიდან მუშაობდა ამავე კათედრის უფროს ლაბორანტად. 1967 წლიდან მუშაობდა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პედიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-მუშაკად. 1972 წელს დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. არის 56 სამეცნიერო შრომის, მათ შორის ერთი მონოგრაფიის და ოთხი რაციონალიზატორული წინადადების ავტორი. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია 25 სამეცნიერო შრომა. დაამთავრა მუშაობა სადოქტორო დისერტაციაზე.

არის საქართველოს ბავშვთა ექიმების სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის წევრი, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების სამედიცინო სექციის გამგეობის წევრი, საქართველო-დიდი ბრიტანეთის ასოციაციის გამგეობის წევრი, საქართველოს ექიმთა ასოციაციის სათათბიროს დეპუტატი.

1972 წლიდან იყო სკკპ წევრი. 1990 წლის ივნისში დატოვა სკკპ რიგები.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ცხოვრობს ქალაქ თბილისში.

დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანულმა პარტიამ (საარჩევნო ბლოკი „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო“).

(დასასრული მე-2 გვერდზე).

დეპუტატობის კანდიდატის წინასაარჩევნო პროგრამის თეზისები

თავისუფლება მხოლოდ ბორკილებისაგან თავის დახსნა არ არის, იგი ცხოვრებაში ფართო არჩევანის შესაძლებლობაა.

დამოუკიდებლობა თვითმიზანი არ არის, იგი ცივილიზებულ სამყაროში ჩართვის ერთადერთი და უმოკლესი გზაა.

შრომის უფლება არის არა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ აღებული შრომითი დასაქმების ვალდებულება, არამედ პიროვნების მატერიალური კეთილდღეობის გარანტიაც.

მომავლის საქართველო დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფო—თავისი ყოველი მოქალაქის ეროვნული, რელიგიური და პოლიტიკური მრწამსის დამცველი.

შეხვდნენ დეპუტატობის კანდიდატს

სარაიონო კულტურის სახლში გაიმართა ამომრჩეველთა შეხვედრა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან ცაგერის №79 საარჩევნო ოლქში **ჯანსუღ ავდიდის ძე ჩარკვიანთან**. იგი დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია საარჩევნო ბლოკისაგან „თანხმობა, მშვიდობა, აღორძინება“.

შეხვედრაზე გამოსულმა დეპუტატობის კანდიდატმა წარმოადგინა საარჩევნო ბლოკის „თანხმობა, მშვიდობა, აღორძინება“ პოლიტიკური პლატფორმის მთავარი მიმართულებები, მოუწოდა ამომრჩევლებს გონირებით, სიფრთხილით მისცენ ხმა ღირსეულ მამულიშვილებს ეროვნულ პარლამენტში.

შეხვედრაზე გამოვიდა დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირი, მწერალი და კრიტიკოსი **თამაზ წივწივაძე**. მან ილაპარაკა დეპუტატობის კანდიდატის ბიოგრაფიაზე, შრომით გზაზე, საზოგადოებრივ და ეროვნულ მოღვაწეობაზე.

შეხვედრაზე მწვავე დისკუსია გაიმართა დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობაზე, დეპუტატის როლსა და მოვალეობაზე, მომავალი ეროვნული პარლამენტის საქმიანობაზე, ბევრ მტკივნეულ საკითხზე.

დეპუტატობის კანდიდატის თ. ყურაშვილის წინასაარჩევნო

პ რ ო გ რ ა მ ი ს თ ე ზ ი ს ე ბ ი

(დასასრული).

ბუკი ამირჩევენ უზენაესი საბჭოს დეპუტატად, ვიმუშავებ შემდეგი პროგრამის მიხედვით:

—უნდა შეიქმნას სამართლებრივი მექანიზმი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

—აქვე უნდა ვაღიაროთ, რომ ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობა და არსებულ ხელისუფლებასთან პოლიტიკური და სამართლებრივი ბრძოლის გზა ერთი მთლიანი სტრატეგიის ორი მხარეა, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე.

—ახალი უზენაესი საბჭო—ეს იქნება ანექსირებულ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის გარდამავალი პერიოდის დროებითი მთავრობა (პარლამენტი). ზემოთხსენებული უნდა იქნას აღიარებული და საქვეყნოდ, ოფიციალურად გამოცხადდეს უზენაესი საბჭოს მიერ.

—საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა გამოცხადდეს ეროვნული ყრილობის მომზადებისა და ჩატარების შემდეგ ხალხის ნებით.

—გარდამავალ პერიოდში უზენაესი საბჭოს მიერ არჩეული უნდა იქნას ეროვნული ინტერესების დამცველი ხელისუფლება (მმართველი ორგანო).

—უნდა შეიქმნას საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლები (შესაბამისი საკანონმდებლო აქტებისა და დადგენილებების სახით).

—გარდამავალი პერიოდის საქართველოში გარანტირებული უნდა იყოს საქართველოს ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობა.

დღეს საქართველო ფაქტიურად ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე აუცილებელია არსებული სახელმწიფოებრივი საბჭოური სისტემისა და სტრუქტურების თანდათანობითი დემონტაჟი და ახალი, არასაბჭოური დემოკრატიული სტრუქტურების შექმნა, რისთვისაც საქართველოს ახალმა უზენაესმა საბჭომ უნდა მოახდინოს ანექსიის შედეგების სრული ლიკვიდაცია.

—მუნიციპალური არჩევნების მომზადება და ჩატარება (საქართველოს რეგიონებში საკუთარი მთავრობის არჩევა ხალხის მიერ).

—ყველა პირობის შექმნა იმისათვის, რომ საქართველო აღიარებულ იქნას საერთაშორისო სამართლის სუბიექტად. საქართველო უნდა გახდეს გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების სრულუფლებიანი წევრი.

—გარდამავალი პერიოდის შემდეგ დაინიშნება თავისუფალი საქართველოს პარლამენტის ბუმარიტად დემოკრატიული არჩევნები.

—აქვე უნდა ითქვას, რომ ყოველგვარი სახელმწიფოებრივი თუ სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება — თავისუფალი საქართველოს ეროვნული პარლამენტის პრეროგატივა და იგი აირჩევა გარდამავალი პერიოდის დამთავრებისთანავე.

—საქართველოს ახლადარჩეულ უზენაეს საბჭოში, რასაკვირველია, უნდა შეიქმნას შესაბამისი კომისია, რომელიც იმუშავებს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეორგანიზაციის პრობლემებზე.

დღეს არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს რომ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის საქმე სავალალო მდგომარეობაშია. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის გახლავთ, რომ იგი ე. წ. „ნარჩენების“ პრინციპით ფინანსირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ საერთო ნაციონალური პროდუქტის დანახარჯის მხოლოდ 3,2 პროცენტი მოდის ჯანმრთელობის დაცვაზე, მაშინ, როდესაც იგივე დარგისათვის განვითარებულ ქვეყნებში 8-18 პროცენტია გამოყოფილი.

ადამიანთა ჯანმრთელობა დამოკიდებულია არა მარტო მედიცინაზე, არამედ ქვეყნის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, მუშაობისა და ყოფის პირობებზე, საკვები პროდუქტის ხარისხზე, მეცნიერების განვითარებაზე და ა. შ. ყოველივე ამის გაუთვალისწინებლობამ გამოიწვია ის, რომ დღეს რესპუბლიკის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საკითხი სერიოზულ შეშფოთებას იწვევს.

დღეისათვის ჯერ კიდევ მოუგვარებელია დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის პრობლემა, ასევე არადამაკმაყოფილებელია საქართველოს სანიტარული მდგომარეობა, რაც ხელს უწყობს როგორც ინფექციურ-ანთებითი, ასევე ალერგიული და სხვა გენეზის მქონე დაავადებების გავრცელებას. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა მედიკამენტებით მომარაგების საქმეში. თანამედროვე უახლესი სამედიცინო აპარატურა ჩვენს საავადმყოფოებსა და პოლიკლინიკებში ხომ იშვიათი მოვლენაა, რის გამოც დიაგნოსტიკა და მკურნალობა არ არის სათანადო დონეზე.

აქვე უნდა აღინიშნოს მედიკოსთა, კერძოდ, ექიმთა დაბალი პროფესიონალიზმის შესახებაც. მართალია, მედიცინის სხვადასხვა დარგში გვყავს სპეციალისტები, რომლებიც მაღალი პროფესიონალიზმით, საქმის სიყვარულით გამოირჩევიან. მაგრამ რიცხვი შედარებით მცირეა, ამინდს მაინც უმრავლესობა ქმნის.

ცენტრალიზებული, ბიუროკრატიულ-მბრძანებლური აპარატი ისევე როგორც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში, მედიცინის დარგშიც განვითარების შემაფერხებელ ძალად იქცა. საქართველოს სამედიცინო სამსახურის გაუმჯობესებისათვის უნდა გამოვძებნოთ ახალი ფორმები. ერთ-ერთი ასეთი ახალი ფორმა, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიმაჩნია, არის ეკონომიურად გამართლებული, დემოკრატიული, დეცენტრალიზებული სადაზღვევო მედიცინის სისტემა (იგი ახალია ჩვენთვის, თორემ საზღვარგარეთის უმრავლეს ქვეყანაში, მაგ: ინგლისი, საფრანგეთი, გფრ, ამერიკა, სამედიცინო სამსახური ამ სისტემაზეა დამყარებული).

დროა თავი დავანებოთ „უფასო მკურნალობით“ ამპარტავნობას. როგორც ცნობილია, საშემოსავლო გადასახადის, რომელსაც ყოველთვიურად გვაქვითავენ კუთვნილი ხელფასიდან, დიდი ნაწილი სწორედ მკურნალობისათვის არის გათვალისწინებული, სინამდვილეში კი არავინ იცის, სად მიდის ეს თანხა და რას ხმარდება იგი. ამიტომ, ჩემის აზრით, დღევანდელ პირობებში სამედიცინო სამსახურის გაუმჯობესებისა და მისი მუშაობის მეტი ეფექტიანობისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სადაზღვევო მედიცინის სისტემაზე გადასვლა, რომელიც შეიძლება სამი ფორმით განხორციელდეს: სახელმწიფო, კოლექტიური და ინდივიდუალური. ამრიგად ხელფასიდან აღარ დაიქვითება მკურნალობისათვის განკუთვნილი თანხა, ამასთან მოსახლეობას სრული უფლება ექნება თავისი შეხედულებისამებრ აირჩიოს სამედიცინო დაზღვევის ფორმა: სახელმწიფო, კოლექტიური თუ ინდივიდუალური.

სადაზღვევო მედიცინის სისტემაზე გადასვლა აუცილებლად გამოიწვევს მნიშვნელოვან პოზიტიურ ცვლილებებს ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში. მაგრამ, რასაკვირველია, მარტო ეს არ აღმოჩნდება საკმარისი. სამედიცინო სამსახურის სრულყოფისათვის აუცილებელია სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარებაც: უნდა განხორციელდეს სამედიცინო განათლების სისტემის რეორგანიზაცია, ეროვნული სამედიცინო ტრადიციების აღდგენა, ქართული სამედიცინო ლიტერატურის სრულყოფა, სამედიცინო მეცნიერების მიღწევათა დაუბრკოლებელი დანერგვა და ფუნდამენტური გამოკვლევების წახალისება. ჩვენი სტუდენტებისა და ახალგაზრდა სპეციალისტების მივლინება საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში მედიცინის დარგში მიღწევათა გასაცნობად და შესასწავლად ჩვეულებრივ მოვლენად უნდა იქცეს. ასეთი მივლინებები დიდად შეუწყობს ხელს კვალიფიციური კადრების მომზადებას და ქართული სამედიცინო მეცნიერების განვითარებას. ასევე აუცილებელია დასავლეთის ქვეყნებიდან წამყვანი მეცნიერების, პრაქტიკოსი ექიმების, ჯანდაცვის ორგანიზატორებისა და ექიმ-ბიზნესმენების მოწვევა მათგან მდიდარი გამოცდილებისა და ცოდნის მისაღებად.

საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის სრულქმნისათვის უამრავი პრობლემა და საკითხია გადასაჭრელი და მოსაგვარებელი მედიცინასა და იმ დარგებშიც, რომლებიც შეიძლება უშუალოდ მედიცინის სფეროს არ განეკუთვნება, მაგრამ მჭიდრო კავშირშია ადამიანის ჯანმრთელობასთან. მხედველობაში მაქვს მაგალითად, ეკოლოგიური და დემოგრაფიული მდგომარეობის სამედიცინო ასპექტების შესწავლა. სხვადასხვა მომშხამავი აირებით დაბინძურებული ჰაერი და ქიმიკატებით სავსე პროდუქტი ვერ ჩაითვლება ადამიანთა ჯანმრთელობის საწინდრად, ამიტომ ამ, და მსგავსი საკითხების მოგვარებისას აუცილებელია ეკოლოგთა, დემოგრაფთა და სამედიცინო სფეროს დარგობრივი ასოციაციების მჭიდრო თანამშრომლობა და მიზანდასახული მოქმედება.

აქვე უნდა აღინიშნოს ე. წ. ოჯახის ექიმის როლი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დონის ამაღლებაში. ოჯახის ექიმი—ეს შესანიშნავი ტრადიციაა, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ მივივიწყეთ და რომელიც აუცილებლად უნდა გავიხსენოთ. ოჯახის ექიმისათვის, რომლისთვისაც ცნობილია ოჯახის თითოეული წევრის ჯანმრთელობის მდგომარეობა და მათი შთამომავლობითი მიდრეკილება ცალკეული დაავადებებისადმი, გაცილებით ადვილია დაავადებისა და მისი გენეზისის დადგენა, რაც მკურნალობას უფრო შედეგიანს ხდის; მაგრამ, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ოჯახის ექიმის როლი დაავადების დროული გამოვლენის, მისი პროფილაქტიკის საქმეში. ასე რომ, ოჯახის ექიმის ტრადიციის აღდგენა თანამედროვე ეტაპზე, სამედიცინო სამსახურის გაუმჯობესების მნიშვნელოვან ფაქტორად და ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად მიმაჩნია. ამისათვის აუცილებელია ზოგადი პრაქტიკის მქონე ექიმების მომზადება.

საქართველოს სამედიცინო სფეროში მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებების მისაღწევად აუცილებელია გატარდეს რიგი ღონისძიებებისა, რომელთა განხორციელებაც საქართველოს ახლადარჩეულ უზენაეს საბჭოში მეცნიერებისა და სპეციალისტების სათანადო მონდომებისა და ძალისხმევის პირობებში საგნებით შესაძლებელია.

რესპუბლიკაში არსებული დარგობრივი სამედიცინო-სამეცნიერო საზოგადოებების ნაცვლად შეიქმნას შესაბამისი ასოციაციები.

სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებისა და ახალგაზრდა ექიმების კვალიფიკაციის მკვეთრი და სწრაფი ამაღლების მიზნით აუცილებელია სამედიცინო ინსტიტუტის ძირითადი კათედრებისა და პროფილური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების გაერთიანება, რომელთა საფუძველზე შეიქმნება პროფილური სამკურნალო-სამეცნიერო სასწავლო ცენტრები.

უნდა შეიქმნას საქართველოს უმაღლესი საატესტაციო კომისია, რომელშიც, ბუნებრივია, სამედიცინო სექცია თუ განყოფილებაც იქნება, რათა ნებისმიერ სპეციალობაში საქართველოშივე ხდებოდეს დისერტაციების დაცვა, სამეცნიერო ხარისხების მინიჭება და მათი დამტკიცება.

საქართველოს მედიკოსთა ასოციაციებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა მაქსიმალურად გამოიყენონ საერთაშორისო ურთიერთობებში რესპუბლიკის მედიკოსთა პირდაპირი მონაწილეობის კონსტიტუციური უფლებები.

აუცილებლად მიმაჩნია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის დახვეწასა და შემდგომ განვითარებას, ამასთან სამედიცინო მეცნიერებისა და პრაქტიკის სფეროში კომპიუტერიზაციასთან დაკავშირებული საქმიანობის გაქართულენოვნების საკითხებს (იქნება ეს ინფორმატიული, ტექნიკური თუ პროგრამული უზრუნველყოფა).

ზემოთაღნიშნულ ღონისძიებათა გატარება განაპირობებს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემისა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ასევე მედიკოსთა პროფესიული დონისა და მათი ეკონომ[illegible] მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, რაც თავისთავად საქართველოს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დონის მკვეთრი ამაღლების საწინდარი გახდება.

რეზონანსი

„ჯულასდილი“ რეკლამა

სულ ცოტა ხანიც და გაირკვევა, თუ ვის ხელში იქნება ადამიანთა ბედი. მართალია, ხალხი დაგვღალა გაუთავებელმა დაძაბულობამ, მაგრამ მიუხედავად ამისა, თითოეული ჩვენგანი მოუთმენლად ელის 28 ოქტომბრის მოახლოებას, თუ ვის მისცემს ხალხი ხმას და ვინ იქნება ხალხის რჩეული.

უკვე ყველასათვის ნათელია, რომ კომუნისტურმა პარტიამ თავისი მისია ვერ შეასრულა. 70 წლის წინათ დაშვებული შეცდომები დღეს ვიგრძენით მწარედ და ამიტომ ხალხიც დღევანდელი პარტიის ხელმძღვანელებს ვაბრალებთ ყველაფერს.

ალბათ, ასეთი პატრიოტები რომ ვყოფილიყავით თითოეული ჩვენგანი თავიდანვე, ასეთ მდგომარეობაში არ იქნებოდა დღეს საქართველო. როდის იყო ერთი მერცხლის ჭიკჭიკს გაზაფხული მოჰყავდა და რა საკვირველია, თუ ემზარ გუგავამაც ვერ დაატრიალა გაზაფხულის სურნელი.

დიახ, როგორც პატივცემული მიტროფანე ბრძანებს: „ხალხი ბრძენია და სწორ არჩევანს გააკეთებს“, მაგრამ მე ვფიქრობ, ლეჩხუმლებისთვის უხერხულია, ლეჩხუმში დაბადებული და გაზრდილი პიროვნება რაიონში ჩამოსულმა ადამიანმა გაგვაცნოს.

როგორც ვიცი, თავად დეპუტატობის კანდიდატი ბრძანდებით და ცოტა არ იყოს, თქვენგან ასეთი რეკლამის გაკეთება უხერხულია.

პატივცემულო მიტროფანე, ისე არ გამიგოთ, თითქოს მე კომუნისტური პარტია გულზე მეხატებოდეს (ვფიქრობ ამაში კარგად ხართ დარწმუნებული), მაგრამ სიმართლეს თვალებში უნდა ჩავხედოთ და ისეთი რამ არ უნდა გავუწბილოთ სხვას, თუ მის ადგილზე ჩვენც ისევე მოვიქცეოდით.

ია მდივანი.

ძეგლი ცოცხალი წინაპარია

და ვითა რწმენა მარადისი...

„როცა ყველაფერს ქარი წაიღებს, როცა ყველაფერს წვიმა წახოცავს“, ციხე-ტაძრები, ეკლესიები შემორჩებიან ისტორიას გარდასულ დღეთა მემატიანედ. წარსულში რომ გადავიხედავთ, მათი ნანგრევებიდან მტვრის საფარს რომ გადავწმენდთ, წინაპართა აჩრდილებს რომ გავესაუბრებით, მაშინ ვირწმუნებთ, რომ დღევანდელი საქართველო ჩვენამდე ამ ციხე-ტაძრებს, ეკლესიებსაც მოუტანიათ, იმ მარჯვენაკურთხეულ ოსტატსაც, სული რომ ქვას მიუცია და თვითონ ზეცამდე ამაღლდა...

თუკი ძველი ქართული ხასიათისა და ტრადიციების, ყოველივე ეროვნულის მოვლისა და შენახვის, საშვილიშვილოდ გადაცემის ხურვილი არ მომკვდარა ქართველ კაცში, მაშინ არავის უნდა გაუკვირდეს, უცხოდ არ უნდა მოეჩვენოს ციხეების, ეკლესიების „მკვდრეთით აღდგომის“, აღორძინების სურვილი.

მურის კლდეკართან, ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე მდებარე მაქსიმე აღმსარებლის ეკლესიასთან თავი მოეყარა ყველას, ბერსა თუ ახალგაზრდას, ვინც გაეხარებინა ამ სასიკეთო წამოწყებას. ეკლესიის რესტავრაციის ინიციატორები გახდნენ რაიონის მთავარი არქიტექტორი კ. კვირკაშვილი და სოფელ ჩხუტელის ახალგაზრდობა.

ალბათ, ბევრმა არც კი იცის მაქსიმე აღმსარებლის პიროვნებისა და მისი სახელობის ეკლესიის შესახებ. ამიტომ მინდა მცირე გადახვევა გავაკეთო და მკითხველს რამდენიმე სიტყვით მოვუთხრო ამის შესახებ.

სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით მეტად საინტერესო ცნობები შეუკრეფია განათლების განყოფილების გამგეს დ. კოპალიანს:—მაქსიმე აღმსარებელი დაიბადა ბიზანტიის საიმპერატორო ქალაქ კონსტანტინეპოლში. იგი დიოფიზიტური მოძღვრების მებაირახტრე გახდა მე-7 საუკუნეში და მთელი სიცოცხლე ამ მოძღვრებისათვის ბრძოლას მოახმარა.

დიოფიზიტური მოძღვრების ქადაგებისათვის იგი დააპატიმრეს და გადაასახლეს. შემდეგ მაქსიმე და ძმები ანასტასები ხელახლა გაასამართლა სინოდმა. მსჯავრდადებულებს ამოსჭრეს ენები, მოჰკვეთეს ზედა კიდურები, ფეხშიშველა შემოატარეს კონსტანტინეპოლის თორმეტივე უბანი და გადაასახლეს ლაზიკის ქვეყანაში (დასავლეთ საქართველო). მათ საპყრობილედ სხვადასხვა ადგილი მიუჩინეს. მაქსიმე სქიმარის (ლეჩხუმის) ციხეში მოათავსეს. ამ ციხეში გარდაიცვალა იგი 662 წლის 13 აგვისტოს და იქვე დაასაფლავეს.

სქიმარის ციხის შესახებ კვლევა აწარმოეს კორნელი კეკელიძემ და ა. ბრელიანტოვმა. მაქსიმესათვის მიჩენილი სქიმარის ციხე დღევანდელი მურის ციხეა. წმინდა მაქსიმეს გვამი კი განისვენებს ცაგერის ახლოს, მურის ციხესთან, იქვე არსებულ პატარა ვაკეზე.

იმერეთის მეფის ალექსანდრე მე-5-ის განკარგულებით 1736 წელს რუსეთში გაგზავნილ რუკაზე, რომელზედაც წარმოდგენილია დასავლეთ საქართველო, მურის ციხე და მის ძირში მდებარე დაბლობზე აშენებული მაქსიმე აღმსარებლის მონასტერი გამოსახულია ცაგერის ახლოს, ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე. მაქსიმე აღმსარებლის ლეჩხუმში გარდაცვალებისა და მისი მურში დაკრძალვის შესახებ ლეგენდაც არსებობს, რომელიც მღვდელ მარგიანს მიუწოდებია კ. კეკელიძისათვის.

ამრიგად, მე-19 საუკუნის დასაწყისში მურში ყოფილა მაქსიმეს სახელობის ბაზილიკა, ადრინდელ წყაროებში კი მოხსენიებულია მ. აღმსარებლის მონასტერი. ბაზილიკა ამ მონასტრის ნანგრევებზეა აშენებული...

საინტერესო ცნობები მოგვაწოდეს ეკლესიასთან თავმოყრილმა ბევრის მომსწრე ადამიანებმაც:—ეს ეკლესია ძირითადად კვირკაშვილების გვარის სალოცავი იყო. აქ იმართებოდა დღესასწაული ბულაშობა (ნაადგომევის მომდევნო ხუთშაბათი), სალოცავად უმეტესად სოფელ ჩხუტელიდან მოდიოდნენ, ისე კი, ცაგერისა და სვანეთის მკვიდრნიც სწირავდნენ და ლოცულობდნენ.

დრო-უამმა და ბოროტმა ხელმა ეს ეკლესიაც, როგორც სხვა, არ დაინდო და დაღუპვის პირას მიიყვანა.

დღეს, როცა მისი აღდგენის სამუშაოები მიმდინარეობს, დიდი სიფრთხილე გვმართებს.

ყველაფერი ისე უნდა გაკეთდეს, მისი სიძველე არა და არ უნდა დაიკარგოს,—აღნიშნა ჩვენთან საუბარში კ. კვირკაშვილმა. ეკლესია ბაზილიკის ტიპისაა და გაუკეთდება ბაზილიკის ტიპის სახურავი, თაღური კარები და სხივდამცემი სარკმლები. აუცილებლად შენარჩუნებული იქნება ფორმა. წყარო გამოვა გარეთ. წარსულში აქ ბინული იყო და მის აღდგენაზეც ფიქრობენ. სამლოცველოს ცალკე შესასვლელი კარი ექნება.

მოიწვიეს ოსტატები ეორა სილაგაძე და ვალიკო კოპალიანი. სხვა სამუშაოებს კი, როგორც აღვნიშნეთ, სოფლის ახალგაზრდობა შეასრულებს. იმ დღეს მაინც გამოვარჩიეთ ზოგიერთი მათგანი: გიორგი, ბორის, ლაშა, ალუდა კვირკაშვილები, ავთო ეფაძე, მერაბ გუგავა, ეური, მუხრან მურცვალაძეები, სკოლის მოსწავლეები სოსო, ბესიკ კვირკაშვილები, მაღლიერები დემურ მურცვალაძე, ზაურ კვირკაშვილი, ტამაზ ბუბალა, მიშა ფოჩხიძე. ახალგაზრდებს არც შარდენ სვანიძე და იოსებ ჩარკვიანი ჩამოუვარდებოდნენ მონდომებითა და სიბეჯითით.

რაიონის ზოგიერთი წარმოებადაწესებულებაც უნდა აღინიშნოს, თავიანთი წილი აგური რომ დადეს ამ საშვილიშვილო საქმეში: საგზაო სამმართველო, კოლხიდმშენი, სატყეო მეურნეობა და სხვები.

ქუდზე კაციო! — მართლაც რომ ასე გვჭირდება დღეს. მარტო სიძველეთა სიყვარულით ვერაფერს გავხდებით. უპირველესად რწმენა გვჭირდება, რამეთუ თუ არ იწამე, მის სიდიადეს ვერ დაინახავ! მგზნებარე ახალგაზრდული გული და უღალატო მარჯვენა გვჭირდება. ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა ეკლესიის გაცოცხლებაში, სამარიდან მის ნაბიჯ-ნაბიჯ წამოდგომაში.

ავადმყოფ სხეულს ჯანი და სიმრთელე უნდა დაუბრუნდეს! რადგან ვინ მოთვლის, რამდენმა ღამემ უნდა დაათიოს მას თავზე, რამდენ ქარტეხილს უნდა გაუძლოს, კიდევ რამდენი საუკუნე უნდა იდგეს ამაყად და უშიშრად, მოწმედ წარსულ დღეთა.

ბელა სალინაძე.



სურათებზე: მიმდინარეობს რესტავრაციის სამუშაოები; წმინდა მაქსიმეს ეკლესიის ნანგრევები.

შენი შვილია, ლეჩხუმო!

ჩვენი დრო უჩივის გულგრილობას...

სამოცდაათმა წელმა თავისი შაგბნელი კვალი დააჩინა საზოგადოებას. ადამიანთა ნაწილი თავისთვის ცხოვრობს. „მათ არა სოდეს არ სწვავთ იარა, არც მოძმისა და არც არავისი“, ისინი სხვათა ჭირს მიიდგამენ კიბედ და მშვიდად ცისკენ მიემართებიან, არადა

„ჩვენ უნდა ვენთოთ, როგორც სანთლები,
სხვისი ტკივილით და საკვნესარით“.

ჩვენდა საბედნიეროდ, გვყავს ისეთებიც, რომელთაც ამოძრავებთ აზრი, რომ მომავლის საფფურებს, მომავლის წლებს ამაყად ჩაუაროს. ამ ადამიანთა რიცხვში ჩვენი რაიონის მკვიდრიცაა, კარლო მუშკუდიანი! —საგზაო სამმართველოს „თბილავტოგზის“ უფროსი.

თამამად შეუძლია ლეჩხუმს იამაყოს თავისი გაზრდილი შვილით. შვილით, რომელსაც შეუძლია განურჩევლად ადამიანთა მდგომარეობისა თესოს მადლი, სხვის დასანახად კი არა!—გული ერჩოდეს ქვრივისებურად, მათხოვარს რომ საქალამნე უყიდა და იტყუა, თითქოს ვალი ემართა მისი... შეუძლია დაეხმაროს ადამიანებს უანგაროდ, მადლი თესოს გულის კარნახით და არა თავის გამოსაჩენად.

ფაქტი გნებავთ? ინებეთ!

ალპანის საშუალო სკოლის

აგერა, კაცი!

კურსდამთავრებულმა თამარ ვახტანგის ასულმა ფრუიძემ მისაღები გამოცდები ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. სათანადო ქულები ვერ შეაგროვა და ვერ მოხვდა ხუთეულში, ექვემდებარებოდა ფასიან სწავლებას. ალბათ, სხვა დროს, უფრო უმტკივნეულოდ გამობრუნდებოდა სახლში და მომავალი წლისთვის მოემზადებოდა, მაგრამ მის გვერდით მყოფნი რომ ფასიან სწავლებაზე ჩაირიცხნენ, თამარს თვალები ცრემლებით აევსო... მამით ობოლმა კარგად იცოდა, სწავლის ქირის გადახდის საშუალება არ ექნებოდა მის ოჯახს. გულდამძიმებული და თვალებდაწითლებული სახლში წამოსასვლელად ემზადებოდა, როცა მისი მდგომარეობა ბ-ნმა კარლომ შეიტყო და იკისრა ობლის სპონსორობა, სპონსორობა სრულიად უცნობი ლეჩხუმელი ქალიშვილისა, თან სთხოვა: შვილო, კარგად ისწავლე და ლეჩხუმი ასახელეო...

სხვაც ბევრი რამის თქმა შეიძლება კაცზე, რომელმაც სადაც კი იმუშავა, ყველგან სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, კაცზე, რომელმაც კარგად იცის თავისი საქმე, აწუხებს სამშობლოს ბედი, იცის, რომ ეროვნული მოძრაობისაგან განზე გადგომა დღეს ღალატია, რომ უპოზიციობა—უღირსებო კაცის თვისებაა.

„...იგი ჯერ კიდევ აკვანში იწვა, რომ დაეწია დროს და ცხოვრებასო“ —გამიგონია. მწამს ადამიანურობა დაბადებიდანვე ჩაუნერგა კარლო მუშკუდიანს მშობელმა დედამ, რომელმაც კარგად იცოდა, ადამიანურობის გარეშე განწირულია ყველა, როგორც მაცხოვარი, რომელიც, „გოლგოთისაკენ თავისით წავა“. ამ პატარა წერილით სამადლობელიც მინდა ვუთხრა „ლამაზად შვილის გამზრდელს“.

ბ-ნმა კარლომ აჩუქა თამარს და მის ოჯახს, მე, ამ წერილის ავტორს, და ალბათ, ყოველ ლეჩხუმელს (მკითხველს) რწმენა, განცდა სიხარულისა და აღტაცებისა...

რიდი და მოკრძალება ადამიანებისადმი, რომლებმაც სათნოება გულს ჩაგვინერგეს, გვასწავლიდნენ, ცხოვრებაში გამოგვიყვანეს...

...და ახლა, გზაზედ რომ შემხვდეს დიოგენე თავისი განუყრელი ეჭვიანი ფარნით და მითხრას, რომ ამ გულგრილობის დროს ეძებს კაცურ კაცს, რომელიც ყოველ წუთს მზადაა სიკეთის ქმნისთვის, თანადგომის და ნუგეშცემისთვის, რომელიც ვაჟკაცობას ფულზე არ ცვლის!, რომელიც მზადაა სამშობლოს სამსხვერპლოზე უყოყმანოდ დაიწვას, ხელს ჩავკიდებდი, ეჭვიან ფარანს ჩავუქრობდი, მივიყვანდი გაგარინის ქუჩაზე მდებარე საგზაო სამმართველოს შენობის მე-6 სართულზე კარლო მუშკუდიანის სამუშაო ოთახში და ვეტყოდი: —ჰაქვენ კაცს ეძებდით?—აგერა, კაცი!

დ. ჩორგოლიანი.

სრულიად საქართველოს პედაგოგთა სამართლებრივი დაცვის კავშირის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს წევრი.

გთხოვთ ჰონორარი გადარიცხოთ ქალთა რაიონული საბჭოს ანგარიშზე.

სიტყვა—საქმიანი

ქალაქის ცენტრში და მის მიდამოებში გავრცელებულია ამბროზია—ჩვენთვის ყველასთვის ცნობილი მავნებელი მცენარე.

შარშან ქალთა საბჭოს ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით ამ მცენარისაგან გაიწმინდა საწარმო-ორგანიზაციების ეზოები, ახლომახლო ტერიტორია, გზისპირები და ნამდვილად კარგი საქმე გაკეთდა.

მაგრამ, ცხადია, მთლიანად ვერ ამოიძირკვებოდა მცენარე. ახლა ამბროზია ჩათესლვის სტადიაშია და ჯერ ერთი, რომ ყველაზე საშიშია მისი მტვერი, მთავარი ისაა, რომ ნიადაგში ჩაითესლება და გაისად ერთი-ასად აღმოცენდება.

საწარმო - ორგანიზაციათა მშრომელები, მოსახლეობა, ყველა უნდა შევებრძოლოთ ჩვენი ჯანმრთელობის მტერს, გავანადგუროთ ამბროზია გამოთიბვით და დაწვით.

ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !

მიზნობრივი ობლიგაციების რეალიზაცია გრძელდება

როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, მიმდინარე წელს საკავშირო მთავრობის დადგენილებით, მოსახლეობაში სარეალიზაციოდ გამოშვებულ იქნა სახელმწიფო მიზნობრივი უპროცენტო სესხის ობლიგაცია მსუბუქი ავტომანქანებისა და სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის დასაქონლების უზრუნველყოფით 1993 წლიდან.

საქართველოში გაიყიდება 195 მილიონი მანეთის ობლიგაცია. რეალიზაცია დაიწყო მიმდინარე წლის აპრილიდან. ობლიგაციების რეალიზაცია მოხდა ჩვენს რაიონში, რამაც პირველ ხანებში მოსახლეობის დიდი ინტერესი გამოიწვია, განსაკუთრებით მსუბუქი ავტომანქანების დასაქონლებით. ასეთი ობლიგაციების რაიონზე დაშვებული ლიმიტი ამოიწურა კიდეც, მაგრამ ასე არ შეიძლება ითქვას იმ ობლიგაციებზე, რომლებიც სხვა საყოფაცხოვრებო საქონლის შესყიდვის უფლებას იძლეოდა. გაყიდულია ძალზე მცირე ნაწილი, ანალოგიური მდგომარეობა შეინიშნება როგორც რესპუბლიკის, ასევე კავშირის მასშტაბით, რასაც ძირითადად ხსნიან შემოთავაზებული საქონლის არასათანადო რეკლამირებით.

ობლიგაციების გავრცელებაზე უარყოფითად მოქმედებს აგრეთვე ის ფაქტიც, რომ 1991 წლიდან საქონელზე ფასების მომატების შემთხვევაში 1993 წელს მათი მიღებისას საჭირო იქნება დამატებითი თანხის გადახდა.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ახლახან მიღებული წერილი გვაცნობს, რომ სსრ კავშირის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ობლიგაციების საქონლის ფასები არ გაიზრდება (გარდა მსუბუქი ავტომანქანებისა) და ობლიგაციები გაშვებულია თავისუფალ გაყიდვაში.

გამომდინარე აქედან ჩვენი რაიონის მცხოვრებლებმა ვისაც სურვილი აქვთ შეიძინონ აღნიშნული სახის ობლიგაციები, უნდა მიმართონ ცაგერის შემნახველ ბანკს, სადაც შეიძენენ სასურველი ნივთის შესაბამის ობლიგაციას.

პ. ხეცურიანი,

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, საგეგმო კომისიის თავმჯდომარე.

იაპონიის კომპანიამ 20 მილიონი დოლარი შესთავაზა ფეხბურთის ცნობილ სუპერვარსკვლავს დიეგო მარადონას, რომელიც ახლა იტალიის კლუბ „ნაპოლში" თამაშობს—იმ შემთხვევაში, თუ იგი დათანხმდება გადასულიყო სათამაშოდ მათთან.

იაპონურმა ფირმამ „პი-დჟი-ემ ფიუჩერსმა" დაიწყო მოლაპარაკება იტალიის კლუბთან დიეგო მარადონას მათ მხარეზე შესაძლო გადასვლის შესახებ, რადგან მარადონას მიერ „ნაპოლთან" დადებულ ხელშეკრულებას ვადა 1993 წელს გასდის.

როგორც გაზეთი „დეილი ნომიური" იუწყება, იტალიელთა კლუბის წარმომადგენლებმა დაადასტურეს მოლაპარაკებათა დაწყების ფაქტი, მაგრამ უარი განაცხადეს მისი შინაარსის გამჟღავნებაზე.

სურათზე: დიეგო მარადონა ცოლთან კლავდიასთან ერთად კარნავალზე.

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი ნ. ნ ე მ ს ა ძ ე.

ნინო მურთაზის ასულ სვანიძეს გია მურთაზის ძე კოპალიანს

გილოცავთ ბედნიერებას. დალოცვილი იყოს თქვენი ფუძე, შვილთა სიმრავლეს გაეხარებინოს თქვენი ოჯახი.

ცაგერის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მუშა-მოსამსახურეები.

ქეთინო ადამის ასულ უჟაძეს მირიან ჭიჭიკოს ძე ჩიკვაიძეს

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ შვილთა სიმრავლეს. მრავალჟამიერ ყოფილიყოს თქვენი სიცოცხლე.

ცაგერის კინოფიკაციის თანამშრომლები.

გილოცავთ ახალდაქორწინებულებს!

იზა ბიჭიკოს ასულ ხეცურიანს ირაკლი ნიკოლოზის ძე ჩაკვეტაძეს

გილოცავთ ბედნიერებას. იცოცხლეთ, იმრავლეთ, იხარეთ.

მიშა, თინა, ნინიკო.

გილოცავთ

მარინე, მამუკა თვარაძეებს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერისთვის საამაყო ვაჟკაცი.

მარინე, დათო, გიორგი ხაბულიანები.

ნათელა, რუბენ ხვადაგიანებს

გილოცავთ მამუკას ჯარიდან დაბრუნებას. ნათელი და ბედნიერი ყოფილიყოს მისი მომავალი ცხოვრება.

მურთაზ ჩაკვეტაძე ოჯახით.

ქალბატონო ბაბუცა!

მოგილოცავთ პირველ შვილიშვილს. ღმერთმა ამრავლოს თქვენს კერაზე ჯანსაღი ძე-ასულები. დიდბებიობას მოსწრებოდეთ.

გაზეთ „ლეჩხუმის" რედაქციისა და რაიონული სტამბის თანამშრომლები.

ნანი, დათო კაჭკაჭაშვილებს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ჭეშმარიტ მამულიშვილად, შემატებოდეს მრავალი და-ძმა.

გოგუცა, რუიზან, მატა, ჯაბუ ალავიძეები.

ეთერ ბარაბაძეს

გილოცავთ შვილის—მამუკას სასახელო წარმატებას. კვლავაც ახალ-ახალი მიღწევები და წინსვლა მოგვილოცოს თქვენი შვილებისათვის, სიხარული და ბედნიერი დღეები ბევრი ჰქონებოდეს ვილიამ გოლეთიანის მონაგარს.

რაისაავადმყოფოს ინფექციური განყოფილების თანამშრომლები.

ნანი, დათო კაჭკაჭაშვილებს ლია, ბორის ხუციძეებს ბაბუცა კაჭკაჭაშვილს

გილოცავთ პირველი შვილისა და პირველი შვილიშვილის შეძენას. გისურვებთ გამრავლებას.

მანანა, ნორა, ჯუმბერ ბენდელიანები, ნინო, ზურა, რეზო ჩაკვეტაძეები, ნათია, დათო, ჯაბა, ნანა და ბესიკ ჭუმბურიძეები.

გაზეთ „ლეჩხუმის" რედაქციისა და რაიონული სტამბის კოლექტივები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სტამბის ყოფილი დირექტორი

დავით გერასიმეს ძე ყურაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დადაში ლეთოდიანი, ზაურ ჩიქოვანი თანაუგრძნობენ ზაურ მუშკუდიანს დედის

ლილი მუშკუდიანის

გარდაცვალების გამო.

ტრისტან ლეთოდიანი, ბუღდან ჭელიძე, ალიკო ირემაძე, ნოდარ, ქორა ხეცურიანები, ნოდარ მუშკუდიანი, ჯიმშერ ფოჩხიძე, რომან, ჩარკვიანი, გიგა, სერგო მეიფარიანები, კაკო დავითულიანი, გოგუცა ბენდელიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით ყურაშვილი

შუშანა, გუგული ყურაშვილები, აბელ, მურთაზ ბურჯალიანები ოჯახებით იუწყებიან

დავით ყურაშვილის

გარდაცვალებას.

ჯაბო ხეცურიანი ოჯახით იუწყება ბიძის

დავით გერასიმეს ძე ყურაშვილის

გარდაცვალებას.

მევლუდ და ელგუჯა ლიპარტელიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ინგა ომარის ასული ჟარულაევი.

ცაგერის შემნახველი ბანკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ იამზე მუსელიანს ძმის

ბიძინა მუსელიანის

გარდაცვალების გამო.

გენადი სილაგაძე, ალუდა ზურაბიანი, ვალერი მდივანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით გერასიმეს ძე ყურაშვილი.

ოყურეშის საექიმო და საფერშლო პუნქტის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლილი მიხეილის ასული კუხალაშვილი-მუშკუდიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მიშა ყურაშვილი, ზურაბ ჩიქოვანი, დათო ხეცურიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით ყურაშვილი

ფატი მეშველიანი, პარიმონ ხეცურიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ მელსი ყურაშვილს მამის

დავით ყურაშვილის

გარდაცვალების გამო.

ქორა ახვლედიანი, ჯოკია ირემაძე, კუკური გაბიანი, ვანო, ჯანიკო ლეთოდიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით გერასიმეს ძე ყურაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ქორა, ანზორ, ჯემალ ხეცურიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით ყურაშვილი.

ოთარ ყურაშვილი, ნორა გოდერიძე, ლოლა, ჯულიეტა კოპალიანები, დოდო, გივი ლეთოდიანები, ჯიბილო, კაკო მეჩველიანები, თამაზ მდივანი, შოთა ჩარკვიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მეფრინველეობის ფაბრიკის ყოფილი დირექტორი

დავით ყურაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-85, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—23-41 საკორექტოროს—22-43. სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №105, ტირაჟი 4483

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.